ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2024 წლის 13 თებერვალის სხდომის
ოქმი # 2
სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან 21 წევრი

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან რამდენიმე სამაგისტრო პროგრამის ამოღების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში, დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ
აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. ფარცხალაძემ, ს. დუნდუამ და სხვ.
დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურიკულუმში და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 2. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან რამდენიმე სამაგისტრო პროგრამის ამოღების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა თ. დოლბაიამ. ამ პროგრამებს გაუვიდა აკრედიტაციის ვადები.
აზრი გამოთქვეს: ი.კაჭკაჭიშვილმა, ნ. ტალახაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: ამოღებულ იქნეს ქვემოთჩამოთვლილი სამაგისტრო პროგრამები „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემების“ პროგრამების კატალოგიდან და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ს აკადემიურ საბჭოს. ესენია:

- *მედია და ახალი ტექნოლოგიები (დადგენილება #57/2011, დანართი # 46)*;
- *ევრაზიისა და კავკასიის კვლევები* (ინგლისურენოვანი, *დადგენილება #57/2011, დანართი # 56*));
- *ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევა (დადგენილება #57/2011, 29.06.2011, დანართი # 66)*.

საფუძველი: ჟურნალისტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამების მხარდამჭერი კომიტეტების რეკომენდაციები.

3. **მოისმინეს**: ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფაკულტეტის საბჭოს სახელზე შემოსულია ასოცირებული პროფესორის, კონსტანტინე შუბითიძისა და სტუდენტების: ნინო ავალიშვილისა და ნიკა ჩხიკვაძის ერთობლივი განცხადება, რომელშიც ისინი ითხოვენ შეწყდეს მათი საჩივრების განხილვა როგორც ფაკულტეტის საბჭოს, ასევე ეთიკის კომისიის მიერ (დანართი 2). განმცხადებლების ინფორმაციით, მხარეებს შორის არსებული უთანხმოება ამოწურულია და, შესაბამისად, საკითხის განხილვაც აღარაა საჭირო. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მოცემული წერილი ფაკულტეტის საბჭოს გარდა მიმართულია უნივერსიტეტის ეთიკის კომისიისადმიც, რამდენადაც სტუდენტების მიერ შემოსულ საჩივარს სწორედ ეთიკის კომისია განიხილავდა. ს. დუნდუას განცხადებით, აღნიშნული ერთობლივი წერილი არის იმის საფუძველი, რომ ფაკულტეტის საბჭომ შეწყვიტოს ასოცირებული პროფესორის, კ. შუბითიძის სარჩელის განხილვა და პრობლემა ჩაითვალოს ამოწურულად.

საკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე — სალომე დუნდუა

ასოცირებული პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოსთვის დასამტკიცებლად

წარსადგენი

საფაკულტეტო კურიკულუმის ცვლილებების პროექტი

13.02.2024

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური მუშაობა“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 38)

ცვლილება: **სასწავლო კურსებზე ლექტორების დამატება**

ცვლილების აღწერა:“ **სოციალური მუშაობის შესავლის“** სასწავლო კურსის ლექტორებს, ემატება სალომე ნამიჭეიშვილი (ასოცირებული პროფესორი) და ნინო შატბერაშვილი (ასოცირებული პროფესორი); სასწავლო კურსს - „სოციალური მუშაობის პრაქტიკის შესავალი (პრაქტიკა - 2)“ ემატება ნათელა ფარცხალაძე (ასოცირებული პროფესორი).

ცვლილება: **სასწავლო კურსის წინაპირობის მოხსნა**

ცვლილების აღწერა: არჩევითი ინგლისურენოვანი სასწავლო კურსის - „სოციალური მუშაობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში/ Social Work in the Local and International Context“ წინაპირობის („დარგობრივი ინგლისური ენა სოციალური მუშაკებისთვის - 1“) მოხსნა
საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: “საერთაშორისო ურთიერთობები“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 41)

ცვლილება: **სასწავლო კურსებზე ლექტორების დამატება**

ცვლილების აღწერა: „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ სავალდებულო სასწავლო კურსს ლექტორად დაემატოს ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე

ცვლილების აღწერა: „დარგობრივი ინგლისური - 2“ და დარგობრივი ინგლისური - 4“ სასწავლო კურსებს ლექტორად დაემატოს იუჯინ სლონიმეროვი

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსში დაემატა „აკადემიური კეთილსინდისიერების“ პრინციპები.

ცვლილება: **სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება**

ცვლილების აღწერა: „კვლევის დიზაინი საერთაშორისო ურთიერთობებში“ სავალდებულო სასწავლო კურსის საკონტაქტო საათები ნაცვლად 30/15 (ლექცია/სემინარი), განისაზღვროს შეფარდებით 15/30 (ლექცია/სემინარი);

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: "ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (რუსული კომპონენტებით)“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 35)

ცვლილება: **ახალი სასწავლო კურსის დამატება**

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება არჩევითი სასწავლო კურსი - "იდეები და პრაქტიკული უნარები წარმატებული პრეზენტაციისთვის", კრედიტი - 5, საათობრივი დატვირთვა 2/1, მოწვეული ლექტორი მარიანა ასანიძე

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი - "ჟურნალისტური აუდიტორიის ფენომენი". კრედიტი - 5, საათობრივი დატვირთვა 2/1, სტატუსი: არჩევითი, სემესტრი: გაზაფხულის, ლექტორი: მარიანა ასანიძე, განახლდა კურსის ლიტერატურა და შინაარსი.

ცვლილება: **სასწავლო კურსის ლექტორის დამატება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს - "ფოტოჟურნალისტიკა" , დაემატა მოწვეული ლექტორი ლიანა თამლიანი

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 36)

ცვლილება: **სასწავლო კურსის შეფასების სისტემის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის - „პოლიტიკური იდეოლოგიები“ , შეფასების სისტემის შეცვლა

ცვლილება: **სასწავლო კურსის დამატება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის - „სოციალური მოძრაობები და საჯარო პოლიტიკა“ დამატება, ლექტორი, ასოცირებული პროფესორი ვალერი დოლიძე

ცვლილება: **სასწავლო კურსებზე ლექტორების დამატება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს - „პოლიტიკური იდეოლოგიები“, ერთჯერადად ემატება მოწვეული ლექტორი ირაკლი მეგრელიშვილი; სასწავლო კურსს - „მსოფლიო პოლიტიკა“ ემატება ასისტენტ პროფესორი სანდრო ტაბატაძე

ცვლილება: **სასწავლო კურსის წინაპირობის მოხსნა**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის - „მართვა - გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ - ცენტრალური ევროპის ქვეყნებში“, წინაპირობის მოხსნა

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შუამდგომლობა.

5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 40)

ცვლილება: **პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო კონტექსტში: ისტორიულ - გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიდგომა“ (ლექტორი, პროფესორი რ. გაჩეჩილაძე), გახდა საფაკულტეტო არჩევითი საგანი

ცვლილება: **სასწავლო კურსის საკონტაქტო საათების ცვლილება**

ცვლილების აღწერა: „ მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია (აზია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი) სავალდებულო სასწავლო კურსის საკონტაქტო საათები ნაცვლად 30/15 (ლექცია/სემინარი) - ისა, განისაზღვროს შეფარდებით 30/30 (ლექცია/სემინარი);

ცვლილება: **სასწავლო კურსების შეფასების სისტემის მოდიფიცირება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსების - „საქართველოს ტურიზმის გეოგრაფია“ და „მსოფლიოს ტურიზმის გეოგრაფია“, შეფასების სისტემის შეცვლა

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ჟურნალისტიკა“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 34)

ცვლილება: **სასწავლო კურსებზე ლექტორების დამატება**

ცვლილების აღწერა: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს „ტელემედია - პრაქტიკუმი“ (5 კრედიტი, 30/30), ემატებიან მოწვეული ლექტორები, ავთანდილ საბიაშვილი და თამარ ფხაკაძე.

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევით სასწავლო კურსს „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“ (5 კრედიტი, 15/15), ემატება მოწვეული ლექტორი, ხათუნა ჩარკვიანი.

ცვლილების აღწერა: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსს „ბეჭდური მედია“ (5 კრედიტი, 30/30) ემატება მოწვეული ლექტორი, ლიანა მარქარიანი.

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევით სასწავლო კურსს „ბეჭდური მედია პრაქტიკუმი“ (5 კრედიტი, 30/15) ემატება მოწვეული ლექტორი, ლიანა მარქარიანი.

ცვლილება: **სასწავლო კურსის საათობრივი დატვირთვის შეცვლა**

ცვლილების აღწერა: არჩევითი სასწავლო კურსის „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების საფუძვლები“ (5 კრედიტი, მოწვეული ლექტორი: მარინა ლომიძე) საათობრივი დატვირთვის განაწილება 30/30, შეიცვალა 15/15/4/91 - ით.

ცვლილება: **ახალი სასწავლო კურსების დამატება**

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი სასწავლო კურსი „წერითი კომუნიკაცია“ – 5 კრედიტი, 30/30, ლექტორები: ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე. მოწვეული ლექტორი ლიანა მარქარიანი. სემესტრი: გაზაფხულის.

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი სასწავლო კურსი „კონსტრუქციული ჟურნალისტიკა“ – 5 კრედიტი, 15/15, გაზაფხულის სემესტრი, ლექტორები: ასისტენტ პროფესორები თინათინ მაჭარაშვილი და ნათია სვანიძე.

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი სასწავლო კურსი „პოდკასტინგი - ციფრული თხრობა“ – 5 კრედიტი, 15/30, გაზაფხულის სემესტრი, ლექტორი: ასისტენტ-პროფესორი ნათია სვანიძე.

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი სასწავლო კურსი „სპორტული ჟურნალისტიკის პრაქტიკული კურსი“ – 5 კრედიტი, 15/15, გაზაფხულის სემესტრი, მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ ტაბატაძე.

ცვლილება: **საბაკალავრო საგანმანათლებლო „მაინორი“ პროგრამიდან - „ჟურნალისტიკა“, არჩევითი და თავისუფალი კრედიტების ამოღება**

ცვლილების აღწერა: 60 კრედიტიან მაინორის პროგრამიდან, არჩევითი საგნების ამოღება და მათი შეთავაზება „ჟურნალისტიკის“ მეიჯორი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმიდან.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება; პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შუამდგომლობა.

7. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კურსები
(დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 36,37, 38,40,41)

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსის „საქართველო მსოფლიო კონტექსტში: ისტორიულ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მიდგომა“, სახელწოდების შეცვლა, ახალი სახელწოდებით: **„საქართველო მსოფლიო ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში“ /„Georgia in the World Historical-geographical and Geopolitical Context“** ; სილაბუსის შინაარსისა და ლიტერატურის განახლება, ლექტორი - პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე, მოწვეული ლექტორი ტატიანა სიჭინავა
ცვლილება: **სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება**

ცვლილების აღწერა: არჩევით სასწავლო კურსზე „ფილოსოფიის საფუძვლები“ ემატება მოწვეული ლექტორი გიორგი გრიგოლაშვილი

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

8. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: “მედიის კვლევები“ (დადგენილება № 57/2011. დანართი N 45)

ცვლილება: **სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი - „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის დიზაინი“– 4 -ის ნაცვლად, გახდა 5 კრედიტიანი;

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი „მეოცე საუკუნის ფილოსოფიურ - ესთეტიკური მიმდინარეობები და თეორიები“ (30/15), 6 კრედიტის ნაცვლად გახდა - 5 კრედიტიანი.

ცვლილება: **სასწავლო კურსის გაზიარება სხვა პროგრამიდან**

ცვლილების აღწერა: გაზაფხულის სემესტრში, არჩევითი საგნის - „წერა ქსელური მედიისთვის“ (ლექტორები: მ. შამილიშვილი, მ. კორინთელი, 5 კრედიტი 15/15), „ციფრული მედიისა და ინოვაციების“ სამაგისტრო პროგრამიდან გაზიარება.

ცვლილება: **ახალი სასწავლო კურსის დამატება**

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება ახალი არჩევითი სასწავლო კურსი „მედია და უსაფრთხოება "(ლექტორი: ნ. ჯანაშია, 5 კრედიტი 15/15), სემესტრი - გაზაფხულის.

საფუძველი: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შუამდგომლობა.

9. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "პოლიტიკის მეცნიერება" (დადგენილება № 57/2011, 2021. დანართი #63)

ცვლილება: სასწავლო კურსების სემესტრული ცვლილება

ცვლილების აღწერა: შემოდგომის სემესტრიდან, გაზაფხულის სემესტრში სასწავლო კურსების - „უსაფრთხოების თანამედროვე კვლევები "და „ტერორიზმი და კონტრტერორიზმი საბჭოთა პერიოდში ", ერთჯერადად გადმოტანა, ლექტორი: ალექსანდრე კუხიანიძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

10. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: "ციფრული მედია და ინოვაციები „** (დადგენილება № 57/2011. დანართი #304)

ცვლილება: **სასწავლო კურსის ლექტორის შეცვლა**

არჩევითი სასწავლო კურსი - **„ინოვაციური ტექნოლოგიები მედიამენეჯმენეჯმენტში და თვითმართვა"** მოწვეული ლექტორი მ. ლომიძე ჩაანაცვლა მოწვეულმა ლექტორმა ლ. კუტუბიძემ.

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: „წერა ქსელური მედიისთვის" (ლექტორები: მ. შამილიშვილი, მ. კორინთელი, 5 კრედიტი 15/15), სასწავლო კურსის სილაბუსის შინაარსს დაემატა „აკადემიური კეთილსინდისიერების" პრინციპები.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

11. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები" (დადგენილება № 57/2011, დანართი 295)

ცვლილება: **სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე -„მედია, ციფრული და საინფორმაციო წიგნიერება" დაემატა ლექტორი სალომე ბელქანია;

სასწავლო კურსზე - „სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები“, სილაბუსში დაემატა ლექტორი მარიამ გერსამია.

ცვლილება: **სასწავლო კურსისთვის ერთჯერადად სემესტრის შეცვლა**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები“, ერთჯერადად გამოდის გაზაფხულის სემესტრში.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

12. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“** (დადგენილება № 57/2011, დანართი 65)

ცვლილება: **ახალი სასწავლო კურსების დამატება**

ცვლილების აღწერა: პროგრამას არჩევით საგნებად ემატება ორი კურსი: „საერთაშორისო უსაფრთხოება თეორია და პრაქტიკა“ და „ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, ლექტორი ფიქრია ასანიშვილი

ცვლილება: **სასწავლო კურსისთვის ერთჯერადად სემესტრის შეცვლა**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „საგარეო ვაჭრობა და ვაჭრობის პოლიტიკა“, მოწვეული ლექტორი ნინო გამხარაშვილი, ერთჯერადად გამოდის გაზაფხულის სემესტრში

საფუძველი: პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შუამდგომლობა.

13. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური მუშაობა“** (დადგენილება #№ 57/2011, #59)

ცვლილება: **სასწავლო კურსებისთვის წინაპირობის გაუქმება**

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევით კურსებზე: „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“, „სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში“, „კეთილდღეობის სისტემის რეაგირება სოციალურ საჭიროებებზე - გაუქმდა წინაპირობა.

ცვლილება: **სასწავლო კურსის სახელწოდების შეცვლა**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს - „სტატისტიკა “, შეეცვალა სახელი და ეწოდა - „სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებისთვის (SPSS)“

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია.

14. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“** (დადგენილება № 57/2011, დანართი N258).

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის - "ქალაქების ორგანიზაციული განვითარება" (მოწვეული ლექტორი ზურაბ ბაქრაძე), სილაბუსში იცვლება ლიტერატურა, შინაარსი, შეფასების სისტემა, კურსი გამოდის გაზაფხულის სემესტრში

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

15. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია“** (დადგენილება № 57/2011, დანართი N62)

ცვლილება: **სასწავლო კურსის გაზიარება სხვა პროგრამიდან**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები “(ლექტორი ვაჟა ლორთქიფანიძე), გაზიარებული იქნა „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის “სამაგისტრო პროგრამიდან.

ცვლილება: **სასწავლო კურსის შეფასების სისტემის მოდიფიკაცია**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსების - „ტურისტული საქმიანობის ორგანიზება“ (ლექტორი ნ. პავლიაშვილი) და „ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“ (ლექტორი ნ. პავლიაშვილი) შეფასების სისტემის მოდიფიკაცია.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება.

16. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციოლოგია“** (დადგენილება № 57/2011, დანართი #60)

ცვლილება:**სასწავლო კურსის გაზიარება სხვა პროგრამიდან**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი - „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციები“, ლექტორი: ნ. ბელქანია, გაზიარებული იქნა „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამიდან.

ცვლილება: **სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლა**

ცვლილების აღწერა: არჩევითი სასწავლო კურსი „მონაცემთა ანალიზი „ „STATA” - ში, გახდა სავალდებულო, 5 კრედიტი, სემესტრი - შემოდგომის, ლექტორი - ა. ცაგარელი.

ცვლილება: **პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება**

ცვლილების აღწერა: სავალდებული სასწავლო კურსის დამატების გამო, პროგრამის 120 კრედიტი გადანაწილდა შემდეგნაირად: **სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (ECTS)** (მათ შორის: სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 (ECTS), სამაგისტრო ნაშრომი - 30 (ECTS)), არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS), თავისუფალი კურსები - 5 კრედიტი (ECTS); შეიცვალა: კურიკულუმის რუკა, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება.

ცვლილება: **პროგრამის სილაბუსებში შეფასების კომპონენტების დაზუსტება**

ცვლილების აღწერა: პროგრამის ყველა სილაბუსში, შეფასების დიაპაზონი შემცირდა 3 ქულამდე

ცვლილება: **სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსში - „სოციოლოგიის პრაქტიკუმი - 2“, მოხდა შინაარსობრივი ცვლილება, კერძოდ: თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo) ინტეგრირება, 5 კრედიტი, ლექტორი - ა. პაპიაშვილი.

საფუძველი: აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები.

17. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“ (დადგენილება #57/’2011, დანართი # 219)

ცვლილება: პროგრამის მოდიფიკაცია

ცვლილების აღწერა: პროგრამაში ჩასწორდა: სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, განივრცო ინფორმაცია მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ და დაემატა ჩანაწერი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების თაობაზე

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრული ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი - „მსოფლიოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები“, შემოდგომის სემესტრის ნაცვლად, გადატანილია გაზავფხულის სემესტრში

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თამარ დოლბაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთიკის კომისიას

ამავე უნივერსიტეტის სოციალურ და

პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს სალომე დუნდუას

ამავე უნივერსიტეტის სოციალურ

და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

19 დეკემბერს მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით 23 დეკემბერს დაიწერა საჩივრები კონსტანტინე შუბითიძის, ნიკა ჩხიკვაძის და ნინო ავალიშვილის მიერ, საფაკულტეტო საბჭოს სახელზე. მოქმედი მხარეები ვითხოვთ აღნიშნული საჩივრების გამოტანასა და საქმის წარმოების შეწყვეტას, ინციდენტი ამოწურულია, ადგილი ჰქონდა გაუგებრობას კომუნიკაციის პრობლემის გამო.

პატივისცემით,

ხელმოწერა:

კონსტანტინე შუბითიძე

ნიკა ჩხიკვაძე

ნინო ავალიშვილი

თარიღი:08.02.2024

1729/30
02 024